ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება **N33**

16 დეკემბერი **2022** წ.

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე**“**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2016** წლის **29** დეკემბერის **№21**
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი **1**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბერის №21 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 04/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.132.016304) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი **1.**

შემოღებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და დადგინდეს მისი განაკვეთები სახეობების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

„ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – 40 000 ლარი კვარტალში;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – 4 000 ლარი კვარტალში;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე – 300 000 ლარი კვარტალში;

ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშის თითოეულ სალაროზე – 20 000 ლარი კვარტალში;

ვ) თითოეული კლუბის მაგიდაზე – 14 000 ლარი კვარტალში.“.

მუხლი **2**
დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე